თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 11 თებერვლის დისტანციური სხდომის

**ო ქ მ ი N 1**

2022 წლის 11 თებერვალს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, გიორგი ქავთარაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, დოდო ჭუმბურიძე**, **ელდარ ბუბულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი;** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დისტანციური სხდომის მდივნად წარადგინა **მარიამ ჩხარტიშვილის** კანდიდატურა, რომელიც ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

**1. ინსტიტუტის 2021 წლის ფინანსური და განყოფილებების მიერ შესრულებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.**
**2. ინსტიტუტის 2022 წელს დაგეგმილი საქმიანობის განხილვა.**
**3. მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

**მოისმინეს:**

***1.*** **ინსტიტუტის 2021 წლის ფინანსური და განყოფილებების მიერ შესრულებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.**

**გიორგი ჭეიშვილმა** მოკლედ მიმოიხილა ინსტიტუტის 2021 წლის ფინანსური ანგარიში. გასული წლის ბიუჯეტი იყო 442 000 ლარი, საიდანაც 404 000 ლარი მოხმარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; მუხლში - „საქონელი და მომსახურება“ გათვალისწინებული იყო 38 000 ლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. აღნიშნული თანხა დაიხარჯა: კომუნალურ გადასახადებში, საკანცელარიო და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად, თანამშრომელთა საარქივო მომსახურებისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოსაწყობად, ქვეყნის შიგნით მივლინებებში

(რაჭისა და კახეთის რეგიონებში), ინსტიტუტის კრებულების დაკაბადონებასა და გამოცემისათვის. შეძენილი იქნა 7 პრინტერი, ბიბლიოთეკისთვის ურიკა და არქივისთვის საქაღალდეები.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** განყოფილებების ხელმძღვანელებს ვთხოვ, წარმოადგინონ მათი სრუქტურული ერთეულების მიერ გასულ წელს შესრულებული სამეცნიერო მუშაობის ნაგარიში.

*ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

**ლევან გორდეზიანი** (განყოფილების ხელმძღვანელი): განყოფილებაში შესრულდა წლიური გეგმით გათვალისწინებული ნაშრომები, რომლებშიც არის საინტერესო მიგნებები და უახლოეს ხანებში მიიღებს პუბლიკაციის სახეს. წარმოდგენილია შესრულებული მუშაობის ანგარიშები. აქტივობები პუბლიკაციების, თუ კონფერენციებში მონაწილეობის სახით ყველა თანამშრომელს ჰქონდა; ვფიქრობ, მთლიანობაში განყოფილების თანამშრომელთა მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს.

*შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

**მარიამ ჩხარტიშვილი** (განყოფილების ხელმძღვანელი): განყოფილების კრებულის – „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXIII, გამოცემა პანდემიის გამო დაგვიანდა, დასაბეჭდად გადაცემულია და იმედია, მალე გამოვა; რაც შეეხება კონფერენციებს, ჩვენი განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული წმინდა გრიგოლ ფერაძის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია,“ მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი, ორგანიზებაში. დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული (ქართულ და ინგლისურ ენებზე). მომხსენებლები წარმოადგენდნენ მსოფლიოს 16 ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებს.

წლის ბოლოს ჩავატარეთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ასევე მეცნიერებმა სხვა სამეცნიერო ინსტიტუციებიდან. რაც შეეხება წლიურ თემებს - შესრულებულია, ყველა მოვისმინეთ განყოფილების სხდომებზე. თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს პუბლიკაციები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში. ვახტანგ გოილაძემ დაასრულა მუშაობა მონოგრაფიაზე. თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები. ვფიქრობ, განყოფილების მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს.

*ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

**ავთანდილ სონღულაშვილი** (განყოფილების ხელმძღვანელი): დეკემბრის თვეში, განყოფილების დისტანციურ სხდომებზე თანამშრომლებმა წარმოადგინეს შესრულებული წლიური ნაშრომები. გასულ წელს გამოქვეყნდა ჩვენი განყოფილების თანამშრომელთა 24 ნაშრომი, აქედან 5 მონოგრაფიაა. კრებულ „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების“ 1 (25) ტომის გამოცემა პანდემიის გამო გამომცემლობაში შეყოვნდა და ამ დღეებში დაიბეჭდება. თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. განყოფილების სამეცნიერო საქმიანობა გასულ წელს, ვფიქრობ, დადებითად უნდა შეფასდეს.

### *საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

**ქეთევან ხუციშვილი** (განყოფილების ხელმძღვანელი): მოგეხსენებათ, ჩვენ განყოფილებაში 10 წევრია, ყველა მათგანმა შეასრულა წლიური გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი. წარმოდგენილია გასული წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშებიც. ნაშრომები ძალიან საინტერესოა, ყველა თანამშრომელს აქვს პუბლიკაციები, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმში. განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ეთნოლოგიური კვლევების ისტორია და პერსპექტივები,“ მიძღვნილი ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში მომზადდა კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, II (28) რომლის გამოცემა შეფერხდა ეპიდემიური სიტუაციის გამო, ნომერი სტამბაშია და, ალბათ, მალე დაბეჭდება. განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო ფორუმებში. ვფიქრობ, მათი სამეცნიერო მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს.

### *კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის ანგარიში*

**როლანდ თოფჩიშვილი** (განყოფილების ხელმძღვანელი): 2021 წელს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა წარმატებით იმუშავეს, შესრულებულია წლიური ნაშრომები. გამოიცა განყოფილების პერიოდული გამოცემა „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XXI, რომელიც ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის ხსოვნას მიეძღვნა. კრებულში ძირითადად, დაბეჭდილია თანამშრომელთა მიერ 2020 წელს შესრულებული წლიური ნაშრომები. ვგეგმავთ, წლევანდელ, XXII ნომერში, რომელიც მიეძღვნება ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, გიორგი ჯალაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავს, სხვა ნაშრომებთან ერთად, გამოვაქვეყნოთ გასული წლის წლიური თემები. განყოფილების თანამშრომლებმა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გამოაქვეყნეს პუბლიკაციები; მომზადდა კოლექტირური ნაშრომი თრუსოს შესახებ, რომელსაც ვფიქრობ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს; გამოიცა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე. გვქონდა ძალიან ნაყოფიერი ეთნოლოგიური ექსპედიცია რაჭაში, მოვიარეთ მთის რაჭის სოფლები, აგრეთვე ვიმუშავეთ კუდაროს მოსაზღვრე სოფლებში, საინტერესო მასალა მივიღეთ ჩრდილეთ კავკასიის ხალხებთან

ურთიერთობის შესახებ. წელს ვგეგმავთ ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოწყობას ხევსურეთში. ვფიქრობ, გასულ წელს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მუშაობა უნდა შეფასდეს წარმატებულად.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ქალბატორი ლიანა ბითაძე სხდომას ვერ ესწრება. მოგახსენებთ, რომ ლაბორატორია წარმატებით საქმიანობს, შეასრულეს წლიური ნაშრომები, აქვთ პუბლიკაციები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში საზღვარგარეთ. ლაბორატორია გასულ წელსაც აგრძელებდა თანამშრომლობას მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის არქეოგენეტიკის დეპარტამენტთან (გერმანია) და ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიასთან (იტალია), ტარდებოდა ერთობლივი სამეცნიერო კვლევები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2021 წელს ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე", რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით, დაიბეჭდა კონფერენციის მასალათა კრებული ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ასევე, დაიბეჭდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულ „ქრონოსის" მეორე ნომერი.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა და სხვა.

**ლავრენტი ჯანიაშვილი:** კოლეგებო, თუ ყველასთვის მისაღებია ინსტიტუტის განყოფილებების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი გასული წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში და დირექციის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში, ვუყაროთ კენჭი, რომ ინსტიტუტის 2021 წლის საქმიანობა დადებითად შეფასდეს.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**მომხრე - 13 წინააღმდეგი – 0.**

**დაადგინეს:** 2021 წელს ინსტიტუტის საქმიანობა როგორც სამეცნიერო, ისე ფინანსური თვალსაზრისით შეფასდეს დადებითად.

**მოისმინეს**:

*2. ინსტიტუტის 2022 წელს დაგეგმილი საქმიანობის განხილვა.*

**გიორგი ჭეიშვილი:** 2022 წლის 3-5 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთობლივად ჩაატარებენ მესამე

ქართველოლოგიურ კონგრესს, რომელიც მიეძღვნება ორ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს - მარიამ ლორთქიფანიძეს და თამაზ გამყრელიძეს. თსუ-ს მხრიდან საორგანიზაციო საქმიანობას წარუძღვება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

მიმდინარე წელს, მუხლით „საქონელი და მომსახურება“ ინსტიტუტს დაუმტკიცდა 38 000 ლარი. პრიორიტეტი მიენიჭება ინსტიტუტის კრებულების გამოცემას, საველე ექსპედიციების მოწყობას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში თანამშრო-მელთა მონაწილეობას.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, ქეთევან ხუციშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ და სხვა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ შეირჩეს თანამშრომლები, რომლებიც კოორდინირებას გაუწევენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩასატარებლად მოსამზადებელ საქმიანობას; მოამზადებენ პროექტს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარსადგენად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განყოფილებების ხელმძღვანელები იმსჯელებენ თანამშრომლებთან და უახლოეს მომავალში სამეცნიერო საბჭოს კოორდინატორების კანდიდატურებს წარუდგენენ.

**მოისმინეს**:

*3. მიმდინარე საკითხები.*

**გიორგი ჭეიშვილი:** მინდა გაცნობოთ, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაგეგმილია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და მათში მომუშავე სამეცნიერო პერსონალის პირადი მონაცემების შედგენა, რომელიც აიტვირთება სპეციალურ ვებ-გვერდზე. განყოფილებების ხელმძღვანელებს გადმოგიგზავნით ლინკს და გთხოვთ, გაეცნოთ და თანამშრომლებსაც გააცნოთ.

ასევე, შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელი საკონკურსოა. 18 ივლისს ოთხწლიანი ვადა ეწურება მეცნიერ-თანამშრომლების თანამდებობაზე არჩეულ პერსონალს.

**სხდომამ დაადგინა: 2021 წელს ინსტიტუტის საქმიანობა როგორც სამეცნიერო, ისე ფინანსური თვალსაზრისით შეფასდეს დადებითად.**

**სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:** **ლავრენტი ჯანიაშვილი**

**სამეცნიერო საბჭოს სხდომის მდივანი:** **მარიამ ჩხარტიშვილი**

11. 02. 2022